ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2017 წლის 25 მაისი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7, მე-8 პუნქტების საფუძველზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 იანვრის №2 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 17/01/2017, 190020020.35.158.016326) დამტკიცებულ წესში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მეთოთხმეტე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფარისებრი ჯირკვლისა და ვირუსული ჰეპატიტით დაავადებულ მოქალაქეებს სამედიცინო (სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობები და დიაგნოსტიკური გამოკვლევები) დახმარება გაეწევათ კალენდარული წლის განმავლობაში 1000 (ერთი ათასი) ლარამდე.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მეთოთხმეტე მუხლის მეორე პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 25 მაისიდან.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **იმრან მ. გასიმოვი**
მოვალეობის შემსრულებელი